ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 12

27 იანვარი
"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.13.08.006.054.02.506; 01.13.08.006.054.02.507) უძრავი ქონების თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიან, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მ-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

1.თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 8 იანვრის N01.16.15 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24-ში (საკადასტრო კოდი: 01.13.08.006.054.02.506) მე-4 სართულზე არსებული 528,05 კვმ. ფართიდან 153,4 კვმ. ფართის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24-ში (საკადასტრო კოდი: 01.13.08.006.054.02.507.) მე-5 სართულზე არსებული 528,48 კვმ. ფართიდან 73,85 კვმ. ფართის თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, თანდართული დანართი N1-ით, N2-ით წარმოდგენილი დაშტრიხული ნახაზების და დანართი N3-ით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

უსასყიდლო უზუფრუქტის პირობები

1. გადაცემულ ქონებაზე უზუფრუქტი წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. უზუფრუქტუარი ვალდებულია, ბრძანების გაცნობიდან 20 კალენდარული დღის ვადაში უზუფრუქტის უფლება დაარეგისტრიროს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

3. უზუფრუქტის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს უზუფრუქტუარი.

4. უზუფრუქტუარს უფლება აქვს, უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს მესამე პირს ან სხვაგვარად დატვირთოს იგი მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

5. უზუფრუქტუარი ვალდებულია მოთხოვნისთანავე, მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს ინფორმაცია მესაკუთრეს.

6. დანართით განსაზღვრული პირობებისა და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უზუფრუქტუარს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა.

7. უზუფრუქტის ფორმით აღებული ქონების იპოთეკით დატვირთვა დაუშვებელია.

8. უზუფრუქტით გადაცემული ქონება რჩება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

9. უზუფრუქტუარის საკუთრებაა უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონების მთელი ის გამოყოფადი გაუმჯობესებანი, რომელიც მან მოახდინა საკუთარი და მასთან გათანაბრებული სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფა შეიძლება აღნიშნული ქონების დაუზიანებლად.

10. იმ შემთხვევაში, თუ "უზუფრუქტუარის" მიერ შესრულებულ გაუმჯობესებათა გამოყოფა უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონებისაგან შეუძლებელია მის დაუზიანებლად, მათი ღირებულება "მესაკუთრის" მიერ ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გაუმჯობესებანი "მესაკუთრის" ნებართვითაა ჩატარებული და ამ ხელშეკრულების შეწყვეტა ან მოშლა ხდება მესაკუთრის ინიციატივით.

11. უზუფრუქტუარის უფლება-მოვალეობანი :

ა) უზუფრუქტის ფორმით აღებული ქონება გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შეხედულებისამებრ;

ბ) აცნობოს დაუყოვნებლივ "მესაკუთრეს", თუ გადაცემულ ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი;

გ) ქონების განადგურების, დაზიანების ან მის შესანახად წარმოშობილი გაუთვალისწინებელი ხარჯების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს "მესაკუთრეს".

დ) მესაკუთრესთან შეთანხმებით გასწიოს უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონების მოვლა-შენახვისათვის საჭირო ხარჯები, უზრუნველყოს ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

ე) "უზუფრუქტუარი" ვალდებულია მესაკუთრის პირველივე მოთხოვნისთანავე გაათავისუფლოს უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონება 1 თვის ვადაში.

12. იმ შემთხვევაში თუ უზუფრუქტუარის მიზეზით წარმოიშობა უზუფრუქტის მოშლის საფუძველი და მესაკუთრისაგან უზუფრუქტუარს წერილობით ეცნობა ამის თაობაზე, იგი ვალდებულია წარუდგინოს მესაკუთრეს უზუფრუქტის გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში "მესაკუთრე" უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს უზუფრუქტი დადგენილი წესით.

13. "უზუფრუქტუარი" ვალდებულია გადაიხადოს უზუფრუქტის ფორმით აღებული ქონების კომუნალური მომსახურების გადასახადი.

14. უზუფრუქტი შეწყვეტილად ითვლება:

ა) უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქონება განადგურდა და აღარ გამოდგება გამოსაყენებლად;

ბ) მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

გ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. უზუფრუქტი წყდება უზუფრუქტუარის განცხადების, ქალაქ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აქტის საფუძველზე, გარდა მესაკუთრის მიერ ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია ქალაქ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილება და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აქტი.

16. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უზუფრუქტის პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით - უზუფრუქტუარის განცხადებისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ქალაქ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

17. მესაკუთრის მიერ უზუფრუქტის პირობებში ცვლილების ინიცირების შემთხვევაში უზუფრუქტუარის თანხმობა გამოიხატება მესაკუთრის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტის შინაარსზე წერილობითი თანხმობით.

18. უზუფრუქტის პირობებში ცვლილებები და დამატებები საჯარო რეესტრში რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

19. დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.